

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 116
(29. 05. 2009 წ.)

სტუ-ში გადაყვანის (მობილობის) ან/და აღდგენის წესით ჩარიცხული სტუდენტების სწავლების საფასურის ოდენობის განსაზღვრის ზოგადი წესი:

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. სტუდენტი, რომელიც გადაყვანის (მობილობის) ან/და აღდგენის წესით ჩარიცხა სტუ-ში გადაიხდის სწავლების იმავე წლისათვის (სემესტრისათვის) მხოლოდ სასწავლო ხელშეკრულებით განსაზღვრული ასათვისებელი კრედიტების საფასურს.
2. პუნქტი 1 სავალდებულოდ აისახოს გადაყვანის/აღდგენის წესით ჩარიცხვის დროს სტუ-სა და სტუდენტს შორის გაფორმებულ ფინანსურ ხელშეკრულებაში.
3. სტუდენტთა კონტიგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციას დაემატოს პუნქტი II. 8 შემდეგი რედაქციით:

სტუდენტი, რომელიც გადაყვანის ან/და აღდგენის წესით ჩარიცხა სტუ-ში გადაიხდის სწავლების იმავე წლისათვის (სემესტრისათვის) მხოლოდ სასწავლო ხელშეკრულებით განსაზღვრული ასათვისებელი კრედიტების საფასურს.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

პროფესორი

(ა. ფრანგიშვილი)

აკადემიური საბჭოს მდივანი,

პროფესორი

(გ. სალუქვაძე)